

მონტაჟის რეჟისორი (მემონტაჟე, აუდიო-ვიზუალური გამოსახულების სპეციალისტი)- 080154

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

ვიდეო მონტაჟის რეჟისორი სატელევიზიო და კინო წარმოების დარგობრივი სფეროს პროფესიული კვალიფიკაციაა. ვიდეო მონტაჟის რეჟისორის პროფესიული ამოცანაა ხმის და გამოსახულების ტექნიკურად სრულფასოვანი და შინაარსობრივად გამართული მონტაჟის წარმოება.

II. დასაქმების სფერო

- სარეკლამო სააგენტო;
- ვიდეო საწარმოო სტუდია;
- კინოწარმოება;
- ტელევიზია.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მონტაჟის რეჟისორის პროფესიული განათლება ორსაფეხურიანია (IV და V). თითოეული მათგანისთვის შემუშავებულია სასწავლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა დიპლომი.

მონტაჟის რეჟისორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მონტაჟის რეჟისორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

მონტაჟის რეჟისორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მონტაჟის რეჟისორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

V. მონტაჟის რეჟისორის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

მონტაჟის რეჟისორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის კომპიუტერის არქიტექტურა და windows ოპერაციული სისტემის გრაფიკული გარსი. იცის სამონტაჟო პროგრამების ინსტალაცია. სრულფასოვნად ფლობს სატელევიზიო წარმოებაში გამოყენებადი სამონტაჟო პროგრამის (მაგ: adobe premier) თანამედროვე გამოცემას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა ფორმატში გადაღებული ვიდეო მასალის კომპიუტერში შეყვანა, ამოცანის შესაბამისი პროექტის შექმნა და ტექნიკურად სრულფასოვანი (Audio-Video) მონტაჟი.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია მონტაჟის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად ლიტერატურისა და ინტერნეტის გამოყენება, გაანალიზება და დასკვნის გაკეთება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ვიდეო მემონტაჟის პროფესიასთან დაკავშირებული საკითხებზე დისკუსიის, პროფესიული მიდგომის შეფასების დროს. ფლობს ელემენტარულ ინგლისურ ენას და იცის ტერმინოლოგია.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	დამოუკიდებლად შეუძლია შეაფასოს საკუთარი პროფესიული კომპეტენციის დონე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება პროფესიული განათლების ასამაღლებლად.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	იცნობს პროფესიული გარემოს თავისებურებებს და სამუშაო ადგილზე მოქმედებს პროფესიული ეთიკის შესაბამისად.

მონტაჟის რეჟისორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	იცის ვიდეო მონტაჟის პრინციპები, საოპერატორო ხელოვნების და რეჟისურის საფუძვლები; ფლობს გამოსახულებისა და ხმის სამონტაჟო თანამედროვე პროგრამებს და სატელევიზიო ტერმინოლოგიას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	შეუძლია კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად (ვიზუალური პროდუქციის ჟანრისა და თემატიკის შესაბამისად) დაამუშაოს ვიდეო მასალა, ჩამოაყალიბოს კონკრეტული მიდგომა, შეადგინოს ტექსტუალური სამოქმედო გეგმა („სამონტაჟო ფურცელი“), გაუნაწილოს სამუშაო სამონტაჟო ჯგუფის წევრებს და შეაფასოს მიღებული შედეგი დამონტაჟებული სიუჟეტის (ფილმის) ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ტელევიზიაში შეუძლია საეთერო და სტუდიის სარეჟისორო პულტთან მუშაობა.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია განსხვავებული მიდგომის აღმწერი ლიტერატურის გაცნობა და ანალიზი კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია წერა და ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია როგორც ზოგადად ეკრანული ხელოვნების შესახებ, ასევე მონტაჟის საკითხებთან დაკავშირებით; საშუალო დონეზე ფლობს ინგლისურ ენას და შეუძლია ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება და დამუშავება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია დამოუკიდებლად განავითაროს საკუთარი პროფესიული კვალიფიკაცია ტექნოლოგიების განვითარებასთან შესაბამისობაში.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	აცნობიერებს პასუხისმგებლობას როგორც მონტაჟის ჯგუფის ლიდერი და მოქმედებს პროფესიული ეთიკისა და ნორმების შესაბამისად.